საქველმოქმედო ფონდი აი ია

KIND SMENA

Welfare Foundation

პროგრამა

ბავშვებისთვის ბავშვების და ბავშვებისთვის

2018 წლის 17 მაისი

საერთაშორისო კონფერენცია

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

MED EL

SHILDA WINERY

World Health Organization

კონფერენცია იმართება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სმენის საერთაშორისო დღის 2018 წლის სლოგანით და მისი მიზანია, საქართველოში სმენის პრობლემების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის შესახებ პოზიციის გამოხატვა და რეაბილიტაციის საკვანძო საკითხებზე შეთანხმება, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება და შემდგომში რეკომენდაციების შემუშავება სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის ადრეული ჩარევის სახელმწიფო გაიდლაინის მოსამზადებლად.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვლენ დარგის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები და საქართველოს შესაბამისის უწყებების ხელმძღვანელები. მუშაობის ფორმატი ითვალისწინებს სადისკუსიო „მრგვალ მაგიდას.“

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვლენ დარგის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტები და საქართველოს შესაბამისის უწყებების ხელმძღვანელები. მუშაობის ფორმატი ითვალისწინებს სადისკუსიო „მრგვალ მაგიდას.“

პრობლემის აღწერა:
სმენის დაქვეითება და სიყრუე ჯანმრთელობის ისეთ პრობლემებს განეკუთვნებიან, რომლებიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე ახდენენ უარყოფით ზეგავლენას, დაწყებული ინდივიდუალური სირთულეებით - ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ფუნქციონალური და აკადემიური პრობლემები, ინტელექტუალური, მოტორული თუ ფიზიკური განვითარების შეფერხება - დამთავრებული გავლენით მაკრო დონეზე - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების თანახმად, შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებებით, სმენის დაზიანებების შემთხვევათა 60%-ის თავიდან არიდებაა შესაძლებელი.

ვიზიარებთ რა სმენის დაზიანების პრევენციისა და ადრეული ჩარევის თანამედროვე მიდგომებს, ვთანხმდებით, სმენის დაზიანების მქონე ბავშვებში, სმენის პრობლემის ადრეული გამოვლენისა და ადრეული ჩარევის აუცილებლობაზე.

ყრუ და სმენის დაზიანების მქონე ბავშვებში სმენის ადრეული გამოვლენისა და ინტერვენციის მიზანი უნდა იყოს ლინგვისტური კომპეტენციებისა და ცოდნის მიღების მაქსიმიზაცია. ენის შესწავლისთვის შესაბამისი ხელშეწყობის გარეშე, ასეთი ბავშვები ჩამორჩებიან თავიანთ ნორმალური სმენის მქონე თანატოლებს კომუნიკაციის, შემეცნებითი, კითხვის უნარების თუ სოციალურ-ემოციური განვითარებით. ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გამოიწვიოს

განათლებისა და დასაქმების დაბალი მაჩვენებელი ზრდასრულ ასაკში. „სმენის დაქვეითების მქონე იმ ბავშვების ცხოვრების ხარისხის დეფიციტი, რომელთაც ვერ ისარგებლეს კოხლეარული იმპლანტაციის ბენეფიტით, მკვეთრად არათანაბარზომიერია სხვა დაავადებების მქონეებთან შედარებით *(Lindemark, Norheim, & Johansson, 2014*). მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელებული სმენის დაქვეითების უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, რასაც „სიყრუის სოციალურ ღირებულებას“ უწოდებენ, მკვეთრად მცირდება კოხლეარული იმპლანტით ინტერვენციისა და შესაბამისი აბილიტაციის უზრუნველყოფის პირობებში (Mohr et al., 2000; Lin, Niparko & Francis, 2009). ღრმა/მძიმე სმენის დაქვეითებით დაბადებული ერთი ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში გაკეთებულმა დანაზოგმა საზოგადოებისთვის შესაძლოა ერთ მილიონ დოლარამდეც კი მიაღწიოს. (*Mohr etal., 2000, Domain: Health Economics Research)". (Position Paper; The American Cochlear Implant Alliance; 2015)*

საქართველოში კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაცია 1998 წლიდან დაიწყო, ხოლო სახელმწიფო პროგრამაში იგი 2006 წლიდან შევიდა. დღეს, სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება ერთი კოხლეარულ□ იმპლანტი, ქირურგიულ ჩარევა (პროცენტულად), მისი რეგულირება ერთი წლის მანძილზე და ლოგოპედის 96 სეანსი. არ არის გათვალისწინებული სახარჯი რესურსი, ცვეთადი ნაწილების შეცვლა (ელემენტები, სადენები) და მისი ტექნიკური მომსახურება (გამონაკლისია თბილისის მერიის მიერ 2017 წელს გაცემული მეტყველების პროცესორები), ოჯახის მხარდაჭერა. შესაბამისად, ეს ტვირთი ოჯახს აწვება და ბევრი ვერ ახერხებს იმპლანტირებული ბავშვის სათანადო მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე საქართველოში არ მომხდარა შედეგების ანალიზი, უნდა ვივარაუდოთ, რომ (რე)აბილიტაციის პროგრამის სრული სერვისის არარსებობა, უარყოფითად აისახება კოხლეარული იმპლანტების მომხმარებლებზე.

2018 წლისთვის საქველმოქმედო ფონდი აი იას, აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის, სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის მიერ შემუშავდა მოკლე რეკომენდაციები 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებისთვის.

მას შემდეგ, რაც სმენისა ადრეული სკრინინგის პროგრამა სრულად ამოქმედდება და შესაძლებელი გახდება ბავშვების იდენტიფიცერება პირველივე თვეებიდან, აუცილებელია, გვქონდეს ამ ბავშვების მომავალი ჯანმრთელობის, განვითარებისა და მათი ოჯახების საჭიროებების ეფექტური მართვის გზები.

დღის წესრიგი

10:00		მონაწილეთა რეგისტრაცია
10:25	მისალმება	ივანე ჩხარტიშვილი საქველმოქმედო ფონდი აი ია, დამფუძნებელი
10:30	მისალმება	დავით სერგეენკო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
10:35	მისალმება	მიხეილ ჩხენკელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
10:40	მისალმება	შოთა ჯაფარიძე - მედ. მეც. დოქტ. პროფესორი, აკადემიკოსი შპს ყელ-ყურ-ცხვირის ეროვნული ცენტრი, ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკის დირექტორი
10:45	მისალმება	ივანე ქევანიშვილი - მედ, მეც. დოქტ. *შპს კინდსმენას დირექტორი*
10:50		*შესვენება*
11:05	სმენადაზიანებული ბავშვები - გამოწვევები ქართულ კონტექსტში	ეკატერინე თორთლაძე *საქველმოქმედო ფონდი აი ია*
11:20	ტენდენციები კოხლეარულ იმპლანტაციაში	გიორგი თავართქილაძე - მედ. მეც. დოქტ, პროფესორი აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ნაციონალური კვლევითი ცენტრის დირექტორი და დამფუძნებელი; აუდიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი; ოტორინოლარინგოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი; რუსეთის აუდიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი; ჯანმოს ექსპერტ კონსულტანტთა ჯგუფის წევრი
11:30	სმენის დაზიანების მქონე ბავშვების ადრეული ჩარევის ეფექტური პროგრამის მოთხოვნები საქართველოში	ბოდო ბერტრამი სმენა-მეტყველების სპეციალისტი
11:40	ტექნიკური პროგრესი და სმენადაზიანებული ბავშვების ახალი შესაძლებლობები - რა შეგვიძლია და რა უნდა გავაკეთოთ?	ინა კარალიოვა - პროფესორი სანქტ-პეტერბურგის ყელ-ყურ-ცხვირისა და მეტყველების ინსტიტუტი; ჰერცენის სახ. რუსეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
11:50	სმენის დაზიანების გლობალური მოძრაობა, სამომავლო მიმართულებები (ონლაინ ჩართვა)	შელი ჩადჰა ტექნიკური ოფიცერი, სიყრუისა და სმენის დაქვეითების პრევენცია, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ჟენევა.
12:00 12:30	ყავის შესვენება	

დღის წესრიგი

12:30	ადრეული ჩარევა სმენადაზიანებული ბავშვებისთვის	**მონიკა ლენჰარდტ-გორიანი** ლენჰარდტის ფონდი, დამფუძნებელი
12:40	პედაგოგიური დახმარების ორგანიზაცია კოხლეარული იმპლანტების მქონე ბავშვებში	**ნატალია შმატკო - პედ. მეცნ. კანდიდატი** წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, რუსეთის განათლების აკადემიის კორექციული პედაგოგიკის ინსტიტუტი, რუსეთის ფედერაციის პრემიის ლაურეატი განათლების დარგში
12:50	სურდოპედაგოგის მუშაობის სისტემა კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვთან და მის ოჯახთან. რეაბილიტაციის საწყისი წერტილი	**ალბინა სატაევა - პედ. მეცნ. კანდიდატი** უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რუსეთის განათლების აკადემიის კორექციული პედაგოგიკის ინსტიტუტი
13:00	სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა	**ეთერი ყიფიანი** სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსი, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
13:10	რატომ გვჭირდება საქართველოში ახალშობილთა სმენის სახელწიფო პროგრამის ხარისხის კონტროლი	**პიტერ ბოტჩერი** პათმედიკალი, კოორდინატორი
13:20	დისციპლინათაშორისი მიდგომა რეაბილიტაციისადმი კოხლეარული იმპლანტის მქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვებთან რუსეთში	**ოლგა ზონტოვა** სანქტ-პეტერბურგის ყელ-ყურ-ცხვირისა და მეტყველების ინსტიტუტი; პროგრამა "მე მესმის სამყარო!"-ს ხელმძღვანელის მოადგილე
13:30	სმენის პრობლემების მქონე ბავშვების ადრეული ჩარევის სისტემის ეფექტურობა უკრაინაში	**ნინა შიპილენკო** კოხლეარული სისტემების მუშაობის მონიტორინგის სპეციალისტი; უკრაინის მედიცინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროფ. კოლომიჩენკოს სახელობის ოტოლარინგოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი
13:40	ტელემედიცინის გამოყენება კოხლეარული იმპლანტაციის შემდგომი რეაბილიტაციისას	**ნიკოლაი პუდოვი** აუდიოლოგი, პროექტ "მე მესმის სამყარო!" დისტანციური მხარდაჭერის მენეჯერი

დღის წესრიგი

13:50	თანამედროვე ტექნოლოგიები კოხლეარულ იმპლანტაციაში	ვიგენ ბახშინიანი აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ნაციონალური კვლევითი ცენტრის კოხლეარული იმპლანტაციის ცენტრის უფროს, მოსკოვი
14:00 15:00	სადილი	
15:00	დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო	
16:30	პოზიციის გამოცხადება, მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება; მემორანდუმის გაფორმება	
17:00	კონფერენციის დახურვა	

მოსალოდნელი შედეგები
კონფერენციის მუშაობის შედეგად სახელმწიფოს ექნება შემუშავებული სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის ადრეული ჩარევის შესახებ პოზიცია, შეიქმნება მრჩეველთა საბჭო და გაფორმდება მემორანდუმი. ჩამოყალიბებული მრჩეველთა საბჭო იქნება საიმედო რესურსი სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების ჯანმრთელობის, განვითარებისა და მათი ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული ეფექტური მართვის მოდელის ჩამოსაყალიბებლად.

ფოტოგამოფენა
ლონისძიების თანმხლები იქნება ფოტოპროექტი, რომლის იდეის ავტორია კოხლარული იმპლანტის მომხმარებელი, თათია დათაშვილი. ფოტოპროექტის მიზანია სამიზნე აუდიტორიას (სმენის დაზიანების რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები, პოლიტიკის შემქმნელები) გაუგზავნოს მესიჯი სმენის დაზიანების პრევენციისა და სმენადაზიანებული ადამიანებისთვის რესურსებისა და მომსახურებების უზრუნველყოფის მნიშვნელობის შესახებ. ფოტოები გადაღებულია პროექტ "ვხედავ რაც არ მესმისის მონაწილეების მიერ.

ძირითადი ინფორმაცია
კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული, ინგლისური, რუსული სინქრონული თარგმანით.
კონფერენცია გაიმართება 17 მაისს, სამუშაო დრო 10:00-17:00.
20:00 საათზე, დაგეგმილია გალა ვახშამი საინტერესო პროგრამით.
18 მაისს მოეწყობა ტური ღვინის ერთ-ერთ საუკეთესო მწარმოებელ კომპანიაში „მეღვინეობა შილდა".

კონფერენციი ჩატარების ადგილი
სასტუმრო ლოპოტა სპა რეზორტი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონში, კახეთში მდებარეობს. კახეთი მევენახეობისა და მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის 80-მდე ჯიშია გავრცელებული.
www.lopota.ge